თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7936439

ნომერი: AR11143167

თარიღი : 15.05.2026

გაცემის თარიღი : 27.05.2026

გაცნობის თარიღი : 27.05.2026

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ალექსი გობრონიძის ქუჩა, N 5/რამაზ შენგელიას ქუჩა, N 10;

დამკვეთი-განმცხადებელი
- თენგიზ წულაია პ/ნ 37001018394
- თბილისი, შარტავას 59

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 08 აპრილის №7878428 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2026 წლის 15 მაისს №AR11143167 განცხადებით მომართა თენგიზ წულაიამ და მოითხოვა სამსახურის 2026 წლის 08

აპრილის №7878428 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2026 წლის 08 აპრილის №7878428 ბრძანებით №01.11.13.002.264 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (ა1 და ა2 ბლოკი) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.
განმცხადებლის განმარტებით სამსახურის 2026 წლის 08 აპრილის №7878428 ბრძანებით შეთანხმებულ გეგმებში გამორჩენილია „ა2“ ბლოკის 25-ე სართულის გეგმა. შესაბამისად ითხოვს წარმოდგენილი გეგმა დაემატოს შეთანხმებულ გეგმებს. განმცხადებელს, ასევე, სურს საზაფხულო ფართობად 14263 კვ.მ-ის ნაცვლად 14257.3 კვ.მ-ის, დამხმარე ფართობად 346.0 კვ.მ-ის ნაცვლად 344.5 კვ.მ-ის დაფიქსირება (ფართობების გასწორებასთან დაკავშირებით მოთხოვნა დაზუსტებული იქნა შეტყობინების ველის მეშვეობით).
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გასწორებული ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ გეგმა - ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. ასევე, სამსახურმა დაადგინა, რომ ზემოაღნიშნული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების ცვლილებასთან ერთად ზუსტდება საერთო ფართობი და იგი შეადგენს 73810.3 კვ.მ.
ამასთან, სამსახურმა დაადგინა, რომ სამსახურის 2026 წლის 08 აპრილის №7878428 ბრძანებით შეთანხმებულ საპროექტო დოკუმენტაციაში (გეგმებში) გამორჩენილია „ა2“ ბლოკის +79.850 ნიშნულის (25 სართულის გეგმა) გეგმის ატვირთვა. თუმცა, აღნიშნული „ა2“ ბლოკის +79.850 ნიშნული ფიქსირდება შეთანხმებულ ჭრილებზე და ფასადებზე.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 08 აპრილის №7878428 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 08 აპრილის №7878428 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში და საერთო ფართობად დაფიქსირდეს 73810.3 კვ.მ., საზაფხულო ფართობად 14257.3 კვ.მ., დამხმარე ფართობად 344.5 კვ.მ.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 08 აპრილის №7878428 ბრძანებით შეთანხმებულ გეგმებს დაემატოს „ა2“ ბლოკის +79.850 ნიშნულის (25 სართული) გეგმა (წარმოდგენილი PDF ფაილის 70-ე გვერდი).
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 08 აპრილის №7878428 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 08 აპრილის №7878428 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.